დადგენილება:**დ-95. 95262121**

თარიღი:**31/07/2026**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2026 წლის 31 ივლისი

დაბა ქედა

,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 01/07/2025; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016402) დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დანართის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საბჭოს თავმჯდომარეობს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ან მისი დავალებით – საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“

2. დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 7-ზე ნაკლები. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს წევრები, საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, მერიის (შემდგომში „მერია“) სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები და მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში ასევე შეიძლება შედიოდნენ: კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი